თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1712854

ნომერი: AR1281014

თარიღი : 23.01.2015

გაცემის თარიღი : 04.02.2015

გაცნობის თარიღი : 24.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღმის 1მ/რ-ში , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი IV (ნაკვეთი N1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 41 , - ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე (ნაკვ.14/60);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ გოგუა პ/ნ 01025001730
- გიორგი ბრწყინვალეს 41, ბ 73

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში,

01.10.06.014.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ყველანაირ მშენებლობას.

გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღმის 1მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი IV (ნაკვეთი№1) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , № 41 , - ის წინ / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთაზე,(ნაკვეთი 14/085) / ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის გადაკვეთაზე ნაკვ.14/60), შპს„მიგ ჯგუფი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდით №01.10.06.014.104) სამსახურის მიერ 2014 წლის 26 დეკემბრის №1664036 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

რაც შეეხება სამშენებლო საქმიანობის უფლების შეჩერების საკითხს, აღნიშნული სცილდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციას.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1267161 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ (#1664036 26.12.14წ. ბრძანება) აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლათ მიმართოთ ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.